11.03.2015

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2014 წლის წლიური და 2014 წლის IV კვარტალი (წინასწარი)

2014 წელი (წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წელს 1272 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 39 პროცენტით აღემატება 2013 წლის წინასწარ და 35 პროცენტით - ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2010-2014 წლებში.

დიაგრამა №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2010-2014* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 21 პროცენტი შეადგინა. ცხრილი №1 ასახავს რეინვესტირებული თანხების წილს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2010-2014 წლებში.

ცხრილი №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2010-2014* წწ.

	2010	2011	2012	2013	2014*
რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%)	28	30	13	29	21

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №2.



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №2 ასახავს საინვესტიციო ნაკადების დინამიკას 2010-2014 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 2198 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2010-2014* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014*
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**814**	**1 117**	**912**	**942**	**1272**
მათ შორის:					
შემომავალი ნაკადები	1 303	1 596	1 430	2 234	2 198
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-488	-478	-518	-1 292	-925

*წინასწარი მონაცემები.

2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №3):

ცხრილი №3. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2014* წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014*
სულ	**814**	**1 117**	**912**	**942**	**1 272**
მათ შორის:					
ნიდერლანდები	73	242	35	153	331
აზერბაიჯანი	58	138	59	82	302
ჩინეთი	-8	10	36	90	195
გაერთიანებული სამეფო	59	55	94	55	114
ლუქსემბურგი	7	43	42	143	85
აშშ	136	28	20	45	80
თურქეთი	92	76	81	43	67
რუსეთი	48	55	20	2	66
დანარჩენი ქვეყნები	350	470	524	330	32

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №3.



* წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2014 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით 65 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №4, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 26 პროცენტით, მეორეზე - აზერბაიჯანი 24 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ჩინეთი 15 პროცენტით.

დიაგრამა №4.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2014* წელს



* წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში, 2014 წლის მიხედვით, მოცემულია ცხრილში №4:

ცხრილი №4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2010-2014* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014*
სულ	**814**	**1 117**	**912**	**942**	**1 272**
მათ შორის:					
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	215	127	73	140	343
მშენებლობა	5	48	42	50	295
დამამუშავებელი მრეწველობა	175	120	168	100	174
ენერგეტიკა	22	204	179	245	99
უძრავი ქონება	119	225	53	42	87
საფინანსო სექტორი	107	168	163	166	78
სამთომოპოვებითი მრეწველობა	53	40	5	44	48
სასტუმროები და რესტორნები	17	23	18	-13	40
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	9	15	16	12	19
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1	17	18	1	1
დანარჩენი სექტორები	90	131	178	156	88

* წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2014 წელს 64 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 343 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 27 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობა 295 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობა 174 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №5:

დიაგრამა №5.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014* წელს



* წინასწარი მონაცემები.

2014 წლის IV კვარტალი

(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წლის IV კვარტალში 349 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2013 წლის IV კვარტალის წინასწარ მონაცემებს 61 პროცენტით, ხოლო ამავე პერიოდის დაზუსტებულ მონაცემებს 54 პროცენტით აღემატება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას 2013-2014 წლების დინამიკაში.

დიაგრამა №6.



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №5 ასახავს საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2013-2014 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის IV კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 607 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2014* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)

	2013				2014*			
	I	II	III	IV	I	II	III	IV
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**252**	**208**	**255**	**227**	**265**	**151**	**508**	**349**
მათ შორის:								
შემომავალი ნაკადები	443	618	621	551	407	480	703	607
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-191	-410	-366	-324	-142	-330	-196	-257

*წინასწარი მონაცემები.

2014 წლის IV კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №6):

ცხრილი №6. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2014* წლის IV კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2013				2014*			
	I	II	III	IV	I	II	III	IV
სულ	**252**	**208**	**255**	**227**	**265**	**151**	**508**	**349**
მათ შორის:								
აზერბაიჯანი	42	16	-13	37	47	77	95	84
ნიდერლანდები	36	30	38	48	81	93	90	67
გაერთიანებული სამეფო	19	-21	28	29	35	-14	27	66
ჩინეთი	13	75	2	-1	2	6	149	38
იაპონია	46	-18	-7	7	8	-40	-15	23
აშშ	16	18	22	-11	18	15	26	21
პანამა	2	10	6	8	-0	-0	44	17
ლუქსემბურგი	2	117	11	12	11	48	12	14
რუსეთი	2	-3	-11	14	20	18	16	11
საუდების არაბეთი	6	3	3	-3	18	-5	1	8
დანარჩენი ქვეყნები	66	-19	175	87	26	-48	61	1

*წინასწარი მონაცემები.

2014 წლის IV კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №7, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 24 პროცენტით, ხოლო მეორე და მესამე ადგილებს ინაწილებენ ნიდერლანდები და გაერთიანებული სამეფო – 19-19 პროცენტით.

დიაგრამა №7.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2014* წლის IV კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2014 წლის IV კვარტალის მიხედვით ეკონომიკის სექტორების ჭრილში მოცემულია ცხრილში №7:

ცხრილი №7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013-2014* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2013				2014*			
	I	II	III	IV	I	II	III	IV
სულ	**252**	**208**	**255**	**227**	**265**	**151**	**508**	**349**
მათ შორის:								
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	36	28	51	26	44	101	109	90
მშენებლობა	5	49	-3	-0	6	21	181	87
საფინანსო სექტორი	64	15	49	38	89	-127	38	78
სასტუმროები და რესტორნები	0	-16	2	1	2	-2	10	29
დამამუშავებელი მრეწველობა	16	28	13	43	46	58	48	22
სამთომოპოვებითი მრეწველობა	16	8	8	11	15	11	8	14
ენერგეტიკა	52	71	74	48	12	45	36	6
დანარჩენი სექტორები	64	25	61	60	52	43	77	23

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2014 წლის IV კვარტალში 73 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 90 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 26 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობა 87 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - საფინანსო სექტორი 78 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014 წლის IV კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №8:

დიაგრამა №8.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014* წლის IV კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

<u>წყარო:</u>

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა "საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ");
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

<u>შენიშვნა:</u> ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

<u>განმარტება:</u> ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

2014 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2015 წლის 17 აგვისტოს.

საკონტაქტო პირი: ლია ძებისაური, ტელ.: (+995 32) 36 72 10 (300). E-mail: ldzebisauri@geostat.ge info@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge